

საქართველოს რაგბის კავშირის გამგეობის სხდომა
2022 წლის 31 იანვარი, 10:00 | სასტუმრო „თბილისი მარიოტი“, მირიან მეფის დარბაზი

ოქმი

ესწრებოდნენ:

გამგეობის წევრები:

- ალექსანდრე ხვედელიძე (დაბადებული 21.10.1965 წ., პირადი № 01014002287)
- დავით კაჭარავა (დაბადებული 06.09.1975 წ.; პირადი № 01035000140)
- ზვიად თავართქილაძე (დაბადებული 06.09.1975; პირადი № 01029001924)
- გრიგოლ ქერაშვილი (დაბადებული 16.03.1956 წ.; პირადი № 35001058678)
- მერაბ ანთაძე (დაბადებული 04.08.1952 წ., პირადი № 01005001907)
- იოსებ ტყემალაძე (დაბადებული 25.12.1976 წ., პირადი № 01024009582)
- კობა გიორგაძე (დაბადებული 26.10.1979 წ.; პირადი № 60001009009)
- მამუკა გორგოძე (დაბადებული 14.07.1984 წ., პირადი № 01031003677)
- გიორგი კობახიძე (დაბადებული 23.11.1953 წ., პირადი № 01011021299)
- აკაკი დავითულიანი (დაბადებული 01.06.1975 წ., პირადი № 12001031106)

სხდომის მომწვევი: დავით კაჭარავა, სრკ-ს გამგეობის თავმჯდომარე

სხდომის თავმჯდომარე: დავით კაჭარავა

სხდომის მდივანი: ნატალია კურტანიძე

სხდომაზე დამსწრე სხვა პირები:

- საქართველოს რაგბის კავშირის ადმინისტრაციული დირექტორი თორნიკე გოგებაშვილი
- იურისტი ედუარდ ნაჭყებია

სხდომამ განიხილა დღის წესრიგში შევამალი შემდეგი საკითხები:

1. ეროვნულ ნაკრებებში შესარჩევი შეკრების და/ან სათამაშო პერიოდში, კავშირის მიერ შერჩეული მოთამაშეების გათავისუფლების შესახებ დებულებასთან დაკავშირებით (დამტკიცებულია 2021 წლის 29 ნოემბრის სხდომით) - მოთამაშეთა გამოძახების წესის და დასაშვები სიხშირის განმარტება;
2. საქართველოს რაგბის კავშირის დებულება და სტრუქტურა (დაზუსტებული ვერსია);
3. სატრანსფერო ფანჯრის გაგრძელება;
4. სამსჯელოდ: ბოლო პერიოდში რაგბის კავშირზე განხორციელებული ცილისმწამებლური მედია-შეტევა;

5. სამსჯელოდ: ეროვნული ნაკრების მოთამაშეების და მენეჯმენტის პრემირების საკითხის განხილვა

სხდომამ გადაწყვიტა:

1. **პირველ საკითხთან დაკავშირებით**, რომელიც ეხებოდა ეროვნულ ნაკრებებში შესარჩევი შეკრების და/ან სათამაშო პერიოდში, კავშირის მიერ შერჩეული მოთამაშეების გათავისუფლების შესახებ დებულებასთან (დამტკიცებულია 2021 წლის 29 ნოემბრის სხდომით) დაკავშირებულ მოთამაშეთა გამოძახების წესის და დასაშვები სიხშირის განმარტებას, გამგეობის წევრებმა იმსჯელეს კლუბებიდან ნაკრებებში მოთამაშეების გაწვევასთან დაკავშირებულ სირთულეებზე (მაგ.მორაგბეების ტრავმიანობა, კლუბებიდან წამყვანი მოთამაშეების გადინება რთული მატჩების დროს) და ამ სირთულეების გადალახვის შესაძლო მექანიზმებზე, როგორცაა მორაგბეების სახელფასო დაზღვევა, ერთი კლუბიდან გამოძახებული მორაგბეების ოდენობის ლიმიტირება, კომპენსაციების მექანიზმი, კლუბების მწვრთნელებთან შეკრებების კალენდრის წინასწარ შეთანხმება და შიდა ჩემპიონატში არსებული ფანჯრების უფრო იტენსიურად გამოყენება. **მსჯელობის შედეგად, გამგეობის წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს ეროვნულ ნაკრებებში შესარჩევი შეკრების და/ან სათამაშო პერიოდში, კავშირის მიერ შერჩეული მოთამაშეების გათავისუფლების შესახებ დებულების განმარტება (თან ერთვის კრების ოქმს), თუმცა ასევე გადაწყვიტეს მომავალში იმსჯელონ კლუბებისთვის მორაგბეების ნაკრებებში გამოშვების წამახალისებელ მექანიზმებზე.**
2. **მეორე საკითხთან დაკავშირებით**, რომელიც ეხებოდა საქართველოს რაგბის კავშირის დებულებას და ორგანიზაციული სტრუქტურის დაზუსტებული ვერსიას, გამგეობის წევრებმა მოისმინეს საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტის განმარტება ორივე დოკუმენტთან დაკავშირებით და იმსჯელა სტრუქტურაში ამჟამად არსებულ კრიტიკულ პოზიციებზე და შესაძლებლობებზე. **საქართველოს რაგბის კავშირის დებულება და ორგანიზაციული სტრუქტურის დაზუსტებული ვერსია დამტკიცდა ერთხმად.**
3. **მესამე საკითხთან დაკავშირებით**, რომელიც ეხებოდა ზამთრის სატრანსფერო ფანჯრის გაგრძელებას, გამგეობის წევრებმა მოისმინეს სრკ-ს იურისტის განმარტება და დაადგინეს, რომ ვინაიდან სრკ-ს სატრანსფერო დებულების განახლებაზე მუშაობა ჯერ არაა დასრულებული, ასევე ვინაიდან საერთაშორისო სატრანსფერო პოლიტიკა ითვალისწინებს ორ სატრანსფერო პერიოდს, ერთჯერადად გაგრძელდეს ზამთრის სატრანსფერო ფანჯარა და ტრანსფერის პირობები შეცვალოს შემდეგნაირად:

- 2022 წლის 15 თებერვლამდე, მიმდინარე სეზონში არარეგისტრირებულ მორაგებს (მორაგბეებს) მიეცეს კლუბში (კლუბებში) დარეგისტრირების უფლება სრკ-ს სატრანფერო დებულებით გათვალისწინებული წესით;
- აღნიშნული წესი შეეხოს როგორც შიდა ასევე საერთაშორისო ტრანსფერების (შემოდინება) რეგისტრაციას.

4. მეოთხე საკითხთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა ეროვნული ნაკრების მოთამაშეების და მენეჯმენტის პრემირების საკითხის განხილვას, გამგეობის წევრებმა მოისმინეს გამგეობის თავმჯდომარის განმარტება ეროვნული ნაკრების მოთამაშეთა და სტაფის წევრთა პრემირების ამჟამინდელ სქემაზე და გამოთქვეს მოსაზრება, რომ შესამუშავებელია პრემირების უფრო ეფექტური და მოქნილი სქემა, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ყველა შესაბამისი ფაქტორი და მოთამაშეთა და სტაფის წევრთა ინტერესები.
5. მეხუთე საკითხთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა ბოლო პერიოდში რაგბის კავშირზე განხორციელებული ცილისმწამებლურ მედია-შეტევას, გამგეობის წევრებმა აღნიშნეს, რომ რაგბთან დაკავშირებული ყველა სუბიექტი, უპირველეს ყოვლისა, უნდა ხელმძღვანელობდეს სარაგბო ფასეულობებით და იცავდეს სარაგბო ოჯახის ინტერესებს.

სრკ-ს ოპერაციების დეპარტამენტის თხოვნით, გამგეობის წევრებმა დამატებით იმსჯელეს ორ საკითხზე, რომელიც დღის წესრიგში არ იყო გათვალისწინებული:

- სრკ-ს COVID-19-ის რეგულაციების განახლება
- შიდა ჩემპიონატის გადადება

გამგეობის წევრებმა დაადგინეს:

- სრკ-ს COVID-19-ის რეგულაციების მე-6 მუხლი დარედაქტირდეს შემდეგნაირად:

*იმ შემთხვევაში, თუ კვირის განმავლობაში ინფიცირებულ მოთამაშეთა რაოდენობა გუნდში იქნება 6 ან მეტი, გუნდს უფლება ექნება მოითხოვოს უახლოესი კალენდარული მატჩის გამოტოვება. გამოტოვებული მატჩი გაიმართება კალენდარში გაჩენილი პირველივე „ფანჯრის“ დღეს.
(რეგულაციების განახლებული ტექსტი სხდომის ოქმს თან ერთვის)*

- შიდა ჩემპიონატის გადადების საჭიროება გამოწვეულია ქვეყანაში არსებული კოვიდ-ვითარებით, რომელმაც ბოლო პერიოდში სრკ-ს საშეჯიბრო სამსახური აიძულა გადაედო თითქმის ყველა დაგეგმილი კალენდარული მატჩი.

არსებული ვითარების გათვალისწინებით, სრკ-ს გამგეობამ დაადგინა:

- ა) გადაიდოს დიდი 10-ის კალენდარული მატჩები, რომლებიც ჩანიშნულია 2022 წლის 10 თებერვლიდან 2022 წლის 17 თებერვლამდე პერიოდში; საშეჯიბრო კალენდარი დაკორექტირდეს შესაბამისად, რათა გამოტოვებული მატჩ(ებ)ი გაიმართოს კალენდარში გაჩენილ პირველივე „ფანჯარაში“.
- ბ) გადაიდოს კაცთა პირველი, რეგონალური და ჭაბუკთა „ა“ ლიგების მატჩები, რომლებიც ჩანიშნულია 2022 წლის 10 თებერვლიდან 2022 წლის 25 თებერვლამდე პერიოდში; საშეჯიბრო კალენდარი დაკორექტირდეს შესაბამისად, რათა გამოტოვებული მატჩ(ებ)ი გაიმართოს კალენდარში გაჩენილ პირველივე „ფანჯარაში“.